**ზედაპირები და მათი დამუშავება**
შესაღები, მინაბოჭკოვანი ფლიზელინით კედლების დამუშავება

აღწერა

თანამედროვე სამშენებლო მასალები, მათი სხვადასხვაგვარი მახასიათებლებითა და თვისებებით, ასევე გარემოს ზემოქმედებით მათ მიმართ უფრო აქტუალურსა და მნიშვნელობას სძენს, თუ რამდენად სწორი მასალებით მოხდება მათი დამუშავება და დაცვა. აქედან გამომდინარე, Caparol-ი გთავაზობთ ფართო ასორტიმენტს. ზედაპირების მოთხოვნებზე მორგებული მრავალი სახის მასალა, შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ, სწორი და ელასტიური ფასადისა და ინტერიერის ზედაპირები, ასევე სტრუქტურირებული დანაფარები და მოვახდინოთ ხისა და რკინის დაცვა.

ამ ტექნიკურ ინფორმაციაში წარმოგიდგენთ მინაბოჭკოვანი ფლიზელინების დატანის მეთოდოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ინტერიერის კედლების დაცვას მიკრობზარების გაჩენისაგან. ქმნის ერთგვაროვან, მყარ და მზიდუნარიან ზედაპირს შემდგომში დისპერსიული და მინერალური საღებავების დასატანად.

რეკომენდირებული პროდუქტების გამოყენების წინ, აუცილებელია გაეცნოთ შესაბამისი პროდუქტის ტექნიკურ ინფორმაციას.

**პროდუქტები:**
პასტისებრი ფითხი: **Akkordleichtspachtel // Akkordspachtel Fein**
მინაბოჭკოვანი ფლიზელინი - **Akkordvlies G 45 SP**

**ნაბიჯი 1, ფითხის დატანა კედელზე:**

პირველ რიგში უნდა მოხდეს კაპაროლის ფითხის დატანა კედელზე ერთგვაროვნად. ეს მასალა გამოიყენება იმისათვის, რომ შემდგომში მინაბოჭკოვანი ფლიზელინი მოთავსდეს ფითხში. ფითხი შესაძლებელია დატანილ იქნას ხელით, გორგოლაჭით ან როგორც ფოტოზეა ნაჩვენები უჰაერო მისაფრქვევი აპარატის გამოყენებით. გაითვალისწინეთ, რომ ფითხში მინაბოჭკოვანი ფლიზელინის მოთავსებისას გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური მასალა G45SP, რომელსაც დიდი უჯრედები აქვს და შესაძლებელია მისი ჩაძირვა ფითხში.

**ნაბიჯი 2, ფითხის მომზადება მინაბოჭკოვანი ფლიზელინის მასაში მოსათავსებლად:**

ფითხის კედელზე დატანის შემდეგ, აუცილებელია დატანილი მასალის დავარცხნა კბილებიანი კელმით (4x4 mm).
დავარცხნა უნდა მოხდეს ერთგვაროვნად და მიაქციეთ ყურადღება, რომ კელმის კბილები არ მოედოს ზედაპირს, რადგან ასეთ ადგილებში მოხდება ფითხის ზედაპირიდან მოხსნა და კონკრეტულ ადგილებში არ მოხდება ფლიზელინის ფითხის მასაში მოთავსება, რაც შემდგომში სამღებრო სამუშაოების შემდეგ გამოჩნდება, როგორც დეფექტი.

**ნაბიჯი 3, ფლიზელინის ჩაძირვა პასტისებრ ფითხში:**

ერთგვაროვნად დავარცხნილ ფითხზე, წინასწარ მოჭრილი მინაბოჭკოვანი ფლიზელინი უნდა მიედოს კედელზე სწორი გეომეტრიით, დაფიქსირდეს ფითხში და შემდეგ ფითხის ან დეკორატიული კელმით მოხდეს ფლიზელინის მასაში ჩაძირვა/მოთავსება.
ყურადღება მიაქციეთ, რომ ფლიზელინი სრულფასოვნად იქნას მოთავსებული ფითხში და ზედაპირი იყოს ერთგვაროვნად გასწორებული. ფლიზელინების გადაბმის ადგილებში სავარცხლის ეფექტის გაქრობა არ არის რეკომენდირებული. ფლიზელინები უნდა გადაედოს ერთმანეთს მაქსიმუმ 5 სმ სიღრმეზე და მოხდეს საკანცელარიო დანის მეშვეობით ორმაგი ჭრა. სასურველია არ გამოიყენოთ ძალა ჭრისას, რათა დანით არ დააზიანოთ კედლის ზედაპირი.

**ნაბიჯი 4, ფლიზელინის გადაბმა/ორმაგი ჭრა:**

ფლიზელინის გადაბმა უნდა მოხდეს ერთმანეთზე მაქსიმუმ 5 სანტიმეტრით ერთმანეთზე გადადებით და ორმაგი ჭრის მეთოდით. საკანცელარიო დანის გამოყენება შეგიძლიათ როგორც ვერტიკალური სწორი ფორმით მოჭრის მეთოდით, ასევე შეგიძლიათ გააკეთოთ მცირე დიაგონალური მოძრაობები. მას შემდეგ, რაც ფლიზელინს გაჭრით და კანტები ერთმანეთის გვერდით მოთავსდება, შეგიძლიათ ფლიზელინის დარჩენილი ნაწილიც მოათავსოთ ფითხში და დავარცხნილის ეფექტი ბოლომდე გააქროთ ზედაპირიდან.

ტექნიკური კონსულტაცია:

შპს. კაპაროლ ჯორჯია
ალ.ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge